ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქება ქართულ და უცხოურ მედიაში

(საქ. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ბრიტანული მაუწყებლის "ბი-ბი-სის" (BBC) მაგალითზე)

ანი შავიშვილი

ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანული ტალახაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2024 წელი

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს შევისწავლოთ, თუ როგორ მუშაობს საომარი მოქმედებების გაშუქების დროს უცხოური და ქართული ტელემედია. კერძოდ, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის პირველი თვეებში რამდენად ობიექტურ და სრულფასოვან ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს. საკვლევად შევარჩიეთ ბრიტანული მაუწყებლის "ბი-ბი-სი"-სა (BBC) და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები 2022 წლის 24 თებერვლიდან 4 აპრილის ჩათვლით.

საკითხი აქტუალურია და ეხება არა მხოლოდ საინფორმაციო ომს, არამედ რეალურ საომარ მდგომარეობას და მისი ადექვატური გაშუქება ნებისმიერი ქვეყნის მედიისთვის ერთგვარი გამოწვევაცაა. მითუმეტეს, რუსეთ-უკრაინის ომი ამჟამადაც გრძელდება და რუსეთიდან მომავალი საფრთხე დღემდე არსებობს არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ უფრო მასშტაბურად-ევროპისა და ასევე, კავკასიის რეგიონშიც. შევისწავლეთ რუსეთ-უკრაინის ომის პოლიტიკური კონტექსტი და წინაპირობები. ასევე, განსახილველი ტელევიზიების გამოცდილება საომარი მოქმედებების დროს, რომელიც დაგვეხმარა მედიაგზავნილების ანალიზსა და პროცესის სრული სურათის დანახვაში. მთავარი ფოკუსირება მოვახდინეთ სამხედრო ჟურნალისტიკის მიმართულებით, რათა გაგვერკვია ქართული და უცხოური მედიის, კერძოდ, ბრიტანული ,,ბი-ბი-სისა“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლების როლი რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქების პროცესში-რამდენად რელევანტურად ხელმძღვანელობდნენ ისინი სამშვიდობო ჟურნალისტიკის პრინციპებით და რა გამოწვევის წინაშე იდგნენ საინფორმაციო ომის მიმდინარეობის დროს.

Ani Shavishvili

Coverage of the Russia-Ukraine war in Georgian and foreign media

(on the example of the Georgian Public Broadcasting Company and the British Broadcasting Corporation "BBC")

Annotation

The aim of the paper is to study how foreign and Georgian TV media work during the coverage of hostilities and, in particular, how objective and comprehensive information was provided to the audience in the first months of the 2022 Russia-Ukraine war. For research, we have selected the main news programs of the British Broadcaster "BBC" and the Georgian Public Broadcaster from From February 24, 2022 to April 4, 2022.

The issue is topical and it concerns not only the information war, but also the real war situation, and its adequate coverage is a kind of challenge for the media of any country. Moreover, the Russia-Ukraine war continues today, and the threat from Russia still exists not only for Ukraine, but on a larger scale - for Europe and the Caucasus region as well. We studied the political context and preconditions of the Russia-Ukraine war. Also, the experience of the TV stations in question during hostilities (e.g. the August 2008 Russia-Georgia war), which helped us to analyze media messages and see the full picture of the process, we focused on war journalism in order to find out how much Georgian and foreign media led during the Russia-Ukraine war. With the principles of peace journalism and what challenge he faced in the current information war.

შინაარსი

ანოტაცია ---------- 2

შესავალი ---------- 5

თავი I---------- 8

1.1. ლიტერატურის მიმოხილვა---------- 8

1.2. კვლევის მეთოდები---------- 9

თავი II 11

2.1. მედიის როლი საომარი მოქმედებების გაშუქების დროს 11

2.2 .სამხედრო ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები 12

2.3. რუსეთ-უკრაინის ომის ისტორიულ -პოლიტიკური კონტექსტი და

წინაპირობები 14

თავი III 17

3.1 BBC-ის ტელევიზიის შექმნის ისტორია 17

3.2. საქ. საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის ისტორია 19

3.3. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაშუქება BBC-ის ეთერში 22

3.4. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაშუქება საქ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 28

დასკვნა 33

გამოყენებული ლიტერატურა 35

შესავალი

ციფრულ ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება სხვადასხვა არხით, ტელემედია კვლავ რჩება ყველაზე რელევანტურ მედიასაშუალებად და, მითუმეტეს, საომარი მოქმედებების გაშუქებაში მისი ფუნქცია თითქმის შეუცვლელია. იგი ყოველთვის თამაშობდა გადამწყვეტ როლს შეიარაღებული კონფლიქტების ნარატივის ჩამოყალიბებაში - მეორე მსოფლიო ომიდან, სირიისა და უკრაინის თანამედროვე კონფლიქტებამდე. მედიას ძალუძს, გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, და ამავე დროს, აქვს როგორც ინფორმირების, ასევე დეზინფორმაციის, შთაგონების და შეცდომაში შეყვანის პოტენციალიც. მედიის მომხმარებლები უნდა იყვნენ კარგად ინფორმირებულნი, რათა ,,გაშიფრონ" საომარი ჟურნალისტიკის ნარატივების რთული ქსელი, რომელიც ხშირად ახლავს შეიარაღებულ კონფლიქტებს.

ომის ვითარებაში განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო მისია ეკისრებათ რეპორტიორებს , რომლებიც სამხედრო ჟურნალისტიკის მიმართულებით მუშაობენ და ამ მხრივ, საქართველოშიც უკვე საკმარისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილებაც დაგროვდა, მითუმეტეს, რუსეთ- საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ. ახლა, ომის საფრთხის ქვეშ უკრაინაც აღმოჩნდა და ქართულ მედიაც ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამჯერად, კონფლიქტი მხოლოდ ერთ მეზობელ ქვეყანას არ ეხება, იგი სცდება ლოკალურ ფარგლებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ისე კავკასიის რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოებასაც. რამდენადაც, ომი 21-ე საუკუნის თანამდევია, განსაკუთრებული ყურადღება მართებს მედიას საომარ მოქმედებების გაშუქების დროს და, ამ მხრივ, არც ქართული მედიასივრცეა გამონაკლისი. ჩვენი კვლევაც სწორედ ქართველი და ევროპელი ჟურნალისტების საქმიანობასა და პროფესიონალიზმს ეხება, მათ მსგავს თუ განსხვავებულ პროფესიულ მიდგომებს და ამ მიზნით ავირჩიეთ ორი ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის - საქართველოს პირველი არხისა და ბრიტანული BBC-ის საინფორმაციო გამოშვებები და შევეცადეთ გაგვეანალიზებინა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების პერიოდში რამდენად ოპერატიულად, ეფექტურად და ობიექტურად

იმუშავეს ინგლისელმა და ქართველმა ჟურნალისტებმა და სამხედრო ჟურნალისტიკის თვალსაზრისით, როგორი იყო მათი პროფესიონალიზმის ხარისხი.

ერთი შეხედვით, თითქოსდა ორი არათანაბარი ,,კალიბრის“ არხი შევარჩიეთ, საერთაშორისო კლასის BBC, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და პრესტიჟული მედიასაშუალებაა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც მხოლოდ 20 წლისაა. დიდ ბრიტანეთში, მსოფლიოში პირველად, 1922 წელს შეიქმნა ორგანიზაცია “ბრიტანეთის რადიოსამაუწყებლო კორპორაცია“ -BBBC, რომლის მმართველთა საბჭოს პარლამენტი და მონარქი ამტკიცებს. მისი მუშაობის ძირითადი პრინციპი კი შემდეგში მდგომარეობს: “ფაქტები წმიდათაწმიდაა, კომენტირება-თავისუფალი”. ბი-ბი-სის სტანდარტებზე დაყრდნობით, 2005 წელს საქართველოს სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი და მისი ფუნქციებიც საზოგდოებრივ ინტერესებს დაექვემდებარა. (ხშირად მას საზოგადოებრივ-სამართლებრივ ან საჯაროსაც უწოდებენ). იგი ქვეყანაში ერთადერთი მედიაა, რომელსაც აქვს კანონი და რომელშიც ხაზგასმით წერია, რომ საზ. მაუწყებელი ,,არის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი სტრუქტურა, რომლის მიზანია, მიაწოდოს აუდიტორიას ობიექტური ინფორმაცია-ახალი ამბების, საგანმანათლებლო და კულტურული და გასართობი პროგრამების ფართო სპექტრი“ (კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლისშესახებ). საქ. საზოგადოებრივი მაუწყებელი სამთავრობო სტრუქტურებს არ ექვემდებარება და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მის მთავარ მისიას წარმოადგენს: ,,დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლება, მრავალფეროვნებისა და სოციალური ინტეგრაციის ღირებულების დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე საზოგადოებისთვის კულტურული ფასეულობების მიწოდება“(კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ)..

განსაკუთრებულად მნიშნელოვანია ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებლობის როლი და პროფესიონალიზმი ომის პირობებში, რომლის ასახვას სპეციფიკური მიდგომები სჭირდება, მითუმეტეს, როცა ეს ეხება არა მხოლოდ საინფორმაციო ომს, არამედ რეალურ საომარ მდგომარეობას - რუსეთ-უკრაინის ომს, რომელიც საკმაოდ

გრძელვადიანი გამოდგა და დღემდე გრძელდება. თანაც, რუსეთიდან მომავალი საფრთხე უკრაინის გარდა, სხვა ქვეყნებსაც ემუქრება და მასშტაბური ხასიათი აქვს. ამდენად, რუსეთ-უკრაინის ომის მედიაცია საკმაოდ მდიდარ ემპირიულ მასალას იძლევა მიმდინარე საომარ პროცესებზე და შევეცადეთ საომარი და სამშვიდობო ჟურნალისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, გაგვეანალიზებინა ომის დაწყების პირველ ხანებში საკვლევად შერჩეული ორი საზოგადოებრივი მაუწყებლის (ბრიტანული მაუწყებლის "ბი-ბი-სი"-სა (BBC) და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის) მთავარი საინფორმაციო გამოშვებები 2022 წლის 24 თებერვლიდან 4 აპრილის ჩათვლით.

თავი I

1.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის დროს გავეცანით თეორიულ მასალას სამხედრო ჟურნალისტიკის შესახებ - წიგნებს, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ა. შ. თუმცა, ამ მხრივ, ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა მწირია. თვალს ვადევნებდით BBC-სა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ ვებსაიტებს. ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა ნორვეგიელი სოციოლოგის, მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევარის, იოჰან გალტუნგის მიერ 1998 წელს ჩამოყალიბებული საომარი და სამშვიდობო ჟურნალისტიკის თეორია ,,როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები", რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქებისას რა ტიპის ჟურნალისტიკის პრინციპებით მოქმედებდა ბრიტანული და ქართული მედია.

გალტუნი მშვიდობის ჟურნალისტიკას ჯანმრთელ ჟურნალისტიკას უწოდებს და ამბობს, რომ „სამშვიდობო ჟურნალისტიკა არ გულისხმობს მხოლოდ სიმართლის მიღწევას, არამედ მშვიდობის მიღწევასაც" (გალტუნგი, 2001). მისი აზრით, კონფლიქტისა, და კერძოდ, ომის მიმდინარეობის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალება იმის შესახებ, თუ რა ხდება საომარი მოქმედებების ეპიცენტრში და უნდა ჩანდეს ყველა მხარის პოზიცია. რაც შეეხება ჟურნალისტებს, კონფლიქტის დროს მათ არ უნდა ჰქონდეთ მიკერძოებული პოზიცია რომელიმე მხარის მიმართ და მხოლოდ ნეიტრალური დამოკიდებულება უნდა ჩანდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენის არასწორმა გაშუქებამ, შეიძლება, უფრო დაძაბოს ვითარება და პანიკაც გამოიწვიოს. საინტერესოა გალტუნის მოსაზრებები, სადაც იგი კონფლიქტების გაშუქების დროს პირველ და ყველაზე მთავარ ფაქტორად ასახელებს კონფლიქტის მიზეზებისა და მისი მონაწილეების მიზნებისა და ამოცანების კვლევას და განიხილავს არა წაგება-მოგების მოდელის შესაძლებლობას, არამედ მოგება-მოგების მოდელს. ასევე, უნდა ჩანდეს კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიებაც, დადებითი თუ უარყოფოთი დინამიკის ჩვენება. ჩვენს ნაშრომში, სწორედ, საერთაშორისო მედიაპრაქტიკაში ამ საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმების გათვალისწინებით გავაკეთეთ ფოკუსირება რუსეთ-

უკრაინის მედიაგაშუქების სპეციფიკაზე-ბრიტანული და ქართული საზოგადოებრივი მაუწყებლების მაგალითზე.

1.2.კვლევის მეთოდი

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თვისობრივი და რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი სისტემატიზებულია, ეფექტურად გამოიყენება მედიური ტექსტების კვლევისას და მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას იძლევა. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მისი საშუალებით ,,ხდება ტექსტში არსებული შეტყობინებების ზუსტი რეპრეზენტაცია" (მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, 2019. მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები). კონტენტ-ანალიზის დახმარებით გავაანალიზეთ ჟურნალისტური ტექსტები, ჟანრობრივი ასპექტები და შევეცადეთ დავკვირვებოდით, რამდენად ადექვატურად და ობიექტურად აისახებოდა ომში მონაწილე მხარეების პოზიციები და ხომ არ ვლინდებოდა რომელიმე მხარის მიმართ კეთილგანწყობილი მიდგომები. რაოდენობრივი კონტენ-ანალიზის მოშველიებით დავთვალეთ, თუ რომელმა ტელემედიამ (საქ. საზ. მაუწყებელმა და ბრიტანულმა BBC-მ) რა დრო დაუთმო საკითხის გაშუქებას და კონკრეტულად რამდენი სიუჟეტი მოამზადა და რა ხანგრძლივობის. ყურადღება გავამახვილეთ, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა კომუნიკატორთა ჯგუფები, როგორებიც არიან, მაგ. პოლიტოლოგები, მიმომხილველები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა სოცინსტიტუტების წარმომადგენლები. დაასახელე მათი გვარები- ვინ აკეთებდა კომენტარებს -პოლიტიკოსები და ა. შ. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი მიდგომებიც.

შესაბამისად, ჩამოვაყალიბეთ შემდეგი **საკვლევი კითხვები:**

- რამდენად ადექვატურად მუშაობდა საქართველოს საზ. მაუწყებელი სამშვიდობო და საომარი ჟურნალისტიკის თეორიის მიხედვით რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქების დროს?

- რამდენად ადექვატურად მუშაობდა ბრიტანული მაუწყებელი "ბი-ბი-სი" (BBC) სამშვიდობო და საომარი ჟურნალისტიკის თეორიის მიხედვით რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქების დროს?
- რა გზავნილებით გამოირჩეოდნენ მონიშნული ტელევიზიები რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქების დროს?

კვლევის ჰიპოთეზები

- 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას საქ. საზ. მაუწყებელი იცავდა სამშვიდობო ჟურანალისტიკის პრინციპების და დაზუსტებულ და დაბალანსებულ ინფორმაციას გვაწვდიდა;
- 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ბრიტანული მაუწყებელი "ბი-ბი-სი" (BBC) იცავდა სამშვიდობო ჟურანალისტიკის პრინციპების და დაზუსტებულ და დაბალანსებულ ინფორმაციას გვაწვდიდა;

თავი II

2.1. მედიის როლი საომარი მოქმედებების გაშუქების დროს

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა წინა პლანზე წამოწია რთული ურთიერთობა მედიასა და შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის. 21-ე საუკუნის ამ კონფლიქტში მედიის როლი მრავალმხრივია: იგი ერთგვარი ტესტია, თუ როგორ აღიქვამს მსოფლიო ომს, გავლენას ახდენს მთავრობის პოლიტიკაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და ზოგჯერ პროპაგანდის ინსტრუმენტადაც კი გვევლინება. კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად, იზრდება მედიის ჩართულობა ომში და ე.წ. ცხელი წერტილებიდან რეპორტაჟები. მედიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქციაა ნებისმიერ კონფლიქტში ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციის გავრცელებაა. ეს ასეა რუსეთ-უკრაინის ომში, სადაც სწორედ, მედიასაშუალებებით იღებს რეციპიენტი შეტყობინებებს სამხედრო მოვლენების, ომის მიმდინარეობის, დიპლომატიური მოლაპარაკებებისა თუ კონფლიქტის ზონებში ადამიანური ისტორიების შესახებ.

მაგალითად, ვიეტნამის ომის დროს მედიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საზოგადოების განწყობის შეცვლაში. რეპორტაჟებში ასახული იყო კონფლიქტის უხეში რეალობა, მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვა და ჯარისკაცების ფსიქოლოგიური ზარალი. შედეგად, ანტი-ომის განწყობები გაიზარდა და საბოლოოდ, აშშ-ის მთავრობამ დეესკალაციისა და ვიეტნამიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

ომის გაშუქებისას მედიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არის ომის დანაშაულებებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლენა. ჟურნალისტები ხშირად ხდებიან სისასტიკეების მოწმეები - მათმა რეპორტაჟმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო აღშფოთება.

ერაყის ომის დროს, აბუ გრეიბის ციხიდან სურათების გავრცელება ამის აშკარა მაგალითია. პატიმართა ძალადობის ამსახველი ფოტოების გავრცელებამ გლობალური პროტესტი გამოიწვია, რასაც მოჰყვა გამოძიება, სასამართლო პროცესი და ცვლილებები აშშ-ის სამხედრო დაკავების პოლიტიკაში.

ჟურნალისტები, რომლებიც ომს კონფლიქტის ზონიდან აშუქებენ ფიზიკური საფრთხის წინაშე დგანან და სამიზნეები თავადაც ხდებიან: გატაცებები, დაზიანებები და ფატალური შემთხვევები ხშირია. გარდა ამისა, ომის დროს ჟურნალისტები რთული ეთიკური დილემების წინაშე დგებიან: გრაფიკული სურათების გამოქვეყნების ან სენსიტიური ინფორმაციის გამოვლენას შესაძლოა შორსმიმავალი შედეგები მოჰყვეს.

2.2. სამხედრო ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები

სამხედრო ჟურნალისტიკა წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც ასახავს კონფლიქტების, ტექნოლოგიებისა და თავად ჟურნალისტიკის ცვალებად ბუნებას.

სტამბის გამოგონებამდე ომთან დაკავშირებული ინფორმაცია ძირითადად ზეპირი ცნობების, ხელნაწერების ან ბალადებისა გზით ვრცელდებოდა. თუმცა, მე-15 საუკუნეში იოჰან გუტენბერგმა სტამბა გამოიგონა - ამ ფაქტმა რევოლუცია მოახდინა ინფორმაციის გავრცელების პროცესში და შესაძლებელი გახადა ომთან დაკავშირებული ბროშურების უფრო ეფექტური წარმოება.

აღსანიშნავია, რომ მე-16 საუკუნეში, კათოლიკურ ჰაბსბურგთა იმპერიასა და ევროპის პროტესტანტულ სახელმწიფოებს შორის მომხდარმა კონფლიქტმა ხელი შუწყო ომის საშინელებათა ამსახველი ბროშურების ფართო გავრცელებას.

სამხედრო ჟურნალისტიკა კიდევ უფრო განვითარდა მე-19 საუკუნეში. ამავე პერიოდში გაჩნდნენ ომის კორესპონდენტები. გაზეთებისა და პერიოდული გამოცემების გაფართოებასთან ერთად, რედაქტორებმა დაიწყეს კორესპონდენტების გაგზავნა უშუალოდ კონფლიქტის ზონებში. მაგალითად, ყირიმის ომის დროს (1853-1856) რეპორტიორები, უილიამ ჰოვარდ რასელი და როჯერ ფენტონი, მკითხველს ფრონტის ხაზიდან დეტალურ ანგარიშებსა და ფოტოებს აწვდიდნენ. ეს უშუალო მოხსენებები საზოგადოების ომში ჩართულობას იწვევდა.

მე-20 საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა მედია პროპაგანდისა და ცენზურის იარაღად გამოიყენა. პირველი მსოფლიო ომის დროს მთავრობებმა მედია საშუალებები

პატრიოტული ნარატივების გასავრცელებლად გამოიყენეს. გარდა ამისა, ამაღლდა ცნობიერება ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ - მაგალითად, "ჭურვის შოკი" (ახლა ცნობილია როგორც პოსტტრავმული სტრესული აშლილობა) - საზოგადოება ნაკლებად იყო ინფორმირებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

პირველი სამხედრო კონფლიქტი, რომელიც ფართოდ გააშუქა ტელევიზიამ, ვიეტნამის ომი იყო. ომის გაუფილტრავმა და გრაფიკულმა სურათებმა ღრმად იმოქმედა საზოგადოებრივ აზრზე, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ანტი-ომის მოძრაობა.

თუმცა, ვიეტნამის ომმა ასევე აჩვენა მედიის ძალა, გავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე. 1971 წელს The New York Times-ის მიერ პენტაგონის დოკუმენტების გამოქვეყნებამ გამოავლინა მთავრობის გეგმები ომის პროგრესისა და მიზნების შესახებ. ამ დოკუმენტების გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო ომისადმი მზარდ იმედგაცრუებას, რამაც საბოლოოდ გამოიწვია აშშ-ის ჯარების ვიეტნამიდან გაყვანა.

1991 წლის სპარსეთის ყურის ომმა შემოიღო ახალი ფენომენი ომის გაშუქებაში, რომელიც ცნობილია როგორც "CNN ეფექტი" - 24-საათიანი საინფორმაციო ციკლი, რომელიც მიმდინარე მოვლენებს რეალურ დროში გადმოსცემს.

2010-იანი წლების დასაწყისში, არაბული გაზაფხულის აჯანყებების დროს, სოციალური მედიის პლატფორმებმა, როგორიცაა Twitter, Facebook და YouTube, ცენტრალური როლი ითამაშეს საპროტესტო აქციებისა და მთავრობის დარბევის შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირებასა და გავრცელებაში. ამან შესაძლებელი გახადა რეალურ დროში გაშუქება და მთავრობის ცენზურისთვის გვერდის ავლა.

2.3. რუსეთ-უკრაინის ომის ისტორიულ - პოლიტიკური კონტექსტი და წინაპირობები.

რუსეთისა და უკრაინის ისტორიის ადრეულმა საუკუნეებმა წარუშლელი კვალი დატოვა როგორც რუსეთის, ისე უკრაინის იდენტობაზე.

ისტორია მე-9 საუკუნეში, კიევის რუსეთის ფორმირებით იწყება. კიევის რუსეთი შეიქმნა, როგორც ძლიერი პოლიტიკური და კულტურული ერთეული, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობას, ქრისტიანობას და სლავურ ხალხში საერთო იდენტობის გრძნობას.

კიევის რუსეთის ადრეულ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქრისტიანობის მიღება. გაქრისტიანებამ ღრმა გავლენა მოახდინა რეგიონის კულტურაზე, მმართველობასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე, ხელი შეუწყო დიპლომატიურ კავშირებს ევროპის სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან.

თუმცა, ამ ადრეულ ერთობას მონღოლთა შემოსევამ გარე საფრთხე შეუქმნა. მე-13 საუკუნეში, კიევის რუსეთი სამთავროებად დაიშალა და რეგიონი მონღოლთა მმართველობას თითქმის ორნახევარი საუკუნის განმავლობაში დაექვემდებარა.

მე-18 საუკუნეში ეკატერინე დიდის აღზევება დაიწყო, რასაც მოჰყვა რუსიფიკაციის პოლიტიკა, უკრაინული იდენტობის აღკვეთა და რუსული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.

ეკატერინეს მმართველობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მახასიათებელი იყო რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოება. მთელი რიგი სამხედრო კამპანიებისა და დიპლომატიური მანევრების საშუალებით ეკატერინემ მნიშვნელოვნად გაზარდა იმპერიის საზღვრები.

რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად ეკატერინემ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ტერიტორიები მოიპოვა - მათ შორის იყო ყირიმის ნახევარკუნძული, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისთვის, ასევე უკრაინისთვის.

ეკატერინემ ხელი შეუწყო დაუსახლებელი რეგიონების, მათ შორის უკრაინის სტეპების კოლონიზაციას, რუსი დიდებულებისთვის მიწის მინიჭებით. გაძლიერდა

რუსიფიკაციის პოლიტიკა: განსაკუთრებით ენისა და რელიგიის კუთხით. რუსული ენა დაწინაურდა ოფიციალურ დოკუმენტებსა და დაწესებულებებში.

მე-19 საუკუნე ევროპაში ეროვნული გამოღვიძების პერიოდად ითვლება. გამონაკლისი არც უკრაინა იყო. ინტელექტუალები და კულტურის მოღვაწეები მუშაობდნენ უკრაინული ენის, ფოლკლორისა და ტრადიციების აღორძინებაზე, მკაფიო ეროვნული იდენტობის გასაძლიერებლად. ამ კულტურულ აღორძინებაში ცენტრალური როლი ითამაშა გამოჩენილმა პოეტმა და ხელოვანმა, ტარას შევჩენკომ.

ეროვნული გამოღვიძება და კულტურული აღორძინება იმპერიული ხელისუფლებისგან წინააღმდეგობას წააწყდა. რუსეთის იმპერია ცდილობდა აღეკვეთა უკრაინული იდენტობის გამოვლინებები:

რუსეთის მთავრობამ დააწესა მკაცრი ცენზურა, აკრძალა პუბლიკაციები და კულტურული გამონათქვამები, რომლებიც ხელს უწყობდნენ უკრაინულ ნაციონალიზმს. ეს რეპრესიები გავრცელდა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, სადაც იზღუდებოდა უკრაინის ისტორიისა და ენის სწავლება.

ინტელექტუალები და კულტურის მოღვაწეები, რომლებიც მხარს უჭერდნენ უკრაინულ იდენტობას, ხშირად იდევნებოდნენ.

პირველმა მსოფლიო ომმა და 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ უკრაინას დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაძლებლობა შეუქმნა. 1918 წელს შეიქმნა უკრაინის სახალხო რესპუბლიკა. თუმცა, რეგიონი მალევე გახდა ბრძოლის ველი სხვადასხვა ფრაქციისთვის, მათ შორის წითელი არმიის, თეთრი არმიისა და უცხოური ინტერვენციის ძალებისთვის. 1922 წელს უკრაინა საბჭოთა კავშირის წევრი გახდა.

1920-იანი და 1940-იანი წლები უკრაინისთვის ღრმა აჯანყებისა და ტრაგედიის პერიოდი იყო. უკრაინის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი თავი 1930-იანი წლების დასაწყისში იწყება - ჰოლოდომორს, რომელიც ორკესტრირებულ იქნა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ, მილიონობით უკრაინელის სიკვდილი მოჰყვა.

სტალინის იძულებითი კოლექტივიზაციის პოლიტიკა მიზნად ისახავდა კერძო მეურნეობის აღმოფხვრას და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი

კოლმეურნეობების შექმნას. გლეხობის წინააღმდეგობამ ამ ზომების მიმართ გამოიწვია მარცვლეულისა და პირუტყვის ფართო კონფისკაცია.

1980-იანი წლების ბოლოსთვის აღმოსავლეთ ევროპაში სეისმური ცვლილება მოხდა, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლა გამოიწვია. 1991 წლის 24 აგვისტოს უკრაინა ოფიციალურად გამოეყო საბჭოთა კავშირს და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. თუმცა რუსეთთან კონფლიქტი ამით არ დასრულებულა.

2014 წლის თებერვლის ბოლოს, რუსულმა ჯარებმა ყირიმში საკვანძო ადგილების ოკუპაცია დაიწყეს. დასავლურმა ქვეყნებმა, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა, რუსეთს სანქციები დაუწესეს.

ყირიმის ანექსიას სერიოზული შედეგები მოჰყვა უკრაინისთვის. ამან გამოიწვია სტრატეგიული, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონის დაკარგვა და უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული დაძაბულობის გამწვავება.

2022 წლის თებერვალში რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობა კვლავ გაგრძელდა. გეოპოლიტიკური ლანდშაფტი კვლავ რთულია, მიმდინარეობს დისკუსიები აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის, ყირიმის სტატუსისა და რეგიონში ძალათა ბალანსის შესახებ. უკრაინა აგრძელებს უფრო მჭიდრო კავშირების ძებნას ევროკავშირთან, ხოლო რუსეთი მეზობელ რეგიონში გავლენის შენარჩუნებას ცდილობს.

თავი III

3.1 BBC-ის ტელევიზიის შექმნის ისტორია

ტელევიზიის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალების იდეა მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. ამ დროისთვის BBC-ის რადიომაუწყებლობა უკვე არსებობდა. 1920-იან წლებში კი სატელევიზიო შესაძლებლობების შესწავლა დაიწყეს. ამის სურვილი ტექნოლოგიის წინსვლამ და სხვა ქვეყნებში ექსპერიმენტული სატელევიზიო მაუწყებლობის წარმატებამ მოიტანა.

ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჯონ ლოჯი ბეირდი, შოტლანდიელი ინჟინერი, რომელმაც 1926 წელს ტელევიზიის პირველი დემონსტრირება ჩაატარა. შემდგომში, BBC-მ წამოიწყო საკუთარი ექსპერიმენტული მაუწყებლობა, რასაც მოჰყვა მსოფლიოში პირველი რეგულარული მაღალი გარჩევადობის სატელევიზიო სერვისი.

ომამდელ ეპოქაში BBC ებრძოდა ტექნიკურ გამოწვევებს და ექსპერიმენტებს ატარებდა სხვადასხვა ფორმატში. რეგულარული სატელევიზიო სერვისის ამოქმედებით დაიწყო დაგეგმილი მაუწყებლობა, რომელიც მოიცავდა გასართობ, საგანმანათლებლო გადაცემებსა და ახალ ამბებს. აღსანიშნავია, რომ ლონდონის ალექსანდრას სასახლე BBC-ის პირველი სატელევიზიო სტუდია გახდა.

1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ უპრეცედენტო გამოწვევები მოუტანა BBC-ის და მის სატელევიზიო სერვისს. ომის ძალისხმევა მოითხოვდა პრიორიტეტების შეცვლას და სატელევიზიო მაუწყებლობა დროებით შეჩერდა. BBC-მ რადიომაუწყებლობა გააგრძელა და ომის წლებში საზოგადოების ინფორმირების მთავარი წყარო გახდა.

ომის დროს სარადარო ტექნოლოგიების კვლევამ და განვითარებამ პირდაპირ შეუწყო ხელი სატელევიზიო მაუწყებლობის აღჭურვილობის გაუმჯობესებას. ამ პერიოდმა საფუძველი ჩაუყარა ტელევიზიის შემდგომ აღორძინებას.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, BBC-მ განაახლა თავისი სატელევიზიო მაუწყებლობა, რომელიც უკვე აღჭურვილი იყო გაუმჯობესებული

ტექნოლოგიით და მზარდი აუდიტორიით. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა მოთხოვნა მრავალფეროვან პროგრამებზე.

ამ ეპოქაში ასევე გაჩნდა საკულტო სატელევიზიო გადაცემები, მათ შორის პირველი სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა, "სატელევიზიო ახალი ამბები", რომლის დებიუტი შედგა 1948 წლის 5 ივლისს.

BBC-ის ტელევიზიისთვის გარდამტეხი მომენტი იყო 1953 წლის 2 ივნისი, როცა დედოფალ ელიზაბეტ II-ის კორონაციის პირდაპირი ტრანსლაცია შედგა. ამ მოვლენამ აჩვენა ტელევიზიის რეალური ძალა - გააერთიანა ერი და რეალურ დროში ისტორიული მოვლენის მომსწრე გახადა.

მომდევნო ათწლეულებში სატელევიზიო მაუწყებლობის უწყვეტი ტექნოლოგიური წინსვლა მოხდა. შავ-თეთრიდან ფერად ტელევიზიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა. პირველი ფერადი ტრანსლაცია, რომელშიც ნაჩვენები იყო უიმბლდონის ჩემპიონატი, 1967 წლის 1 ივლისს შედგა.

ფერადი ტელევიზიის დანერგვამ შეცვალა პროგრამირების ესთეტიკა და ხელი შეუწყო ტელევიზიის, როგორც ხელოვნების ფორმის განვითარებას.

პირველი ომი, რომელიც BBC-ის ტელევიზიამ გააშუქა, 1982 წლის ფოლკლენდის ომი იყო. (მიმდინარეობდა არგენტინასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის სამხრეთ ატლანტიკის სადავო ფოლკლენდის კუნძულების გამო). ამ მოვლენამ გლობალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

დაძაბულობის გამწვავებასთან ერთად, საერთაშორისო მედია, მათ შორის BBC, მოემზადა განვითარებული მოვლენების გასაშუქებლად. ფოლკლენდის ომი ჟურნალისტებისთვის უნიკალური გამოწვევა იყო.

პირდაპირმა რეპორტაჟებმა ომი პირდაპირ მაყურებელთა საცხოვრებელ ოთახებში შემოიტანა, რამაც ჩართულობის უპრეცედენტო დონე შექმნა. აუდიტორია აღარ იყო დამოკიდებული დაგვიანებულ და დამუშავებულ კადრებზე; სამაგიეროდ, ისინი რეალურ დროში შეესწრნენ ომის ქაოსს, გმირობას და ტრაგედიას.

BBC-ის რეპორტიორები, მათ შორის ისეთი ცნობილი კორესპონდენტები, როგორებიც არიან ბრაიან ჰანრაჰანი, ქეით ადი და ჯერემი ბოუენი, გაგზავნეს კონფლიქტის სხვადასხვა ასპექტის გასაშუქებლად. BBC მიზნად ისახავდა აუდიტორიისთვის მოეყოლა არა მხოლოდ ომის სტრატეგიული და პოლიტიკური განზომილებები, არამედ ადამიანური ისტორიები.

სატელიტურმა ტექნოლოგიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრძოლის ველიდან პირდაპირი მაუწყებლობის ჩართვაში. ფოლკლენდის კუნძულებზე განლაგებული რეპორტიორები უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ: მკაცრმა კლიმატმა, ექსტრემალურმა ტემპერატურამ, ძლიერმა ქარმა და რთულმა რელიეფმა, გამოცადა როგორც აღჭურვილობის, ასევე პერსონალის გამძლეობა.

ქეით ადი, BBC-ის ახალი ამბების მთავარი კორესპონდენტი, ფოლკლენდის ომის გაშუქების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. ადის რეპორტაჟი ფოკუსირებული იყო არა მხოლოდ კონფლიქტის სამხედრო ასპექტებზე, არამედ ქაოსის ფონზე განვითარებულ ადამიანურ ისტორიებზეც. მისი სიუჟეტები ომის შედეგად დაზარალებული ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოსახლეობის გამოცდილებას ასახავდა.

ჯერემი ბოუენი, BBC-ის კორესპონდენტი ახლო აღმოსავლეთში - ბოუენის გაშუქება ფოკუსირებული იყო კონფლიქტის გეოპოლიტიკურ შედეგებზე და სამხედრო მეთაურების მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე.

3.2 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნა (სსმ)

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (GPB) შექმნა და განვითარება წარმოადგენს გადამწყვეტ თავს საქართველოს მედიის ისტორიაში. როგორც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერის იდენტობის ჩამოყალიბებაში, კულტურული გამოხატვის ხელშეწყობაში და დემოკრატიული დისკურსისთვის პლატფორმის შექმნაში.

ქართული მაუწყებლობის ისტორია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იწყება, როდესაც რეგიონში პირველად შემოვიდა რადიოგადაცემა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში მედია მკაცრად კონტროლდებოდა და პოლიტიკურ პროპაგანდას ემსახურებოდა. ტელევიზია გამოიყენებოდა საბჭოთა რეჟიმის ოფიციალური ნარატივის გასავრცელებლად. 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლამ შექმნა ახალი პოლიტიკური ლანდშაფტი, რამაც საქართველოს შესაძლებლობას მისცა შეეცვალა თავისი მედია და ჩამოეყალიბებინა ინსტიტუტები, რომლებიც დამოუკიდებელი ერის მისწრაფებებს ასახავდნენ.

1990-იანი წლების დასაწყისი საქართველოსთვის ღრმა ტრანსფორმაციის პერიოდი იყო. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანა დაადგა ერის მშენებლობისა და დემოკრატიული რეფორმების გზას. ამ კონტექსტში სულ უფრო აშკარა გახდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის საჭიროება.

1995 წელს საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნისკენ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიღებით. ამ კანონმდებლობამ საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნას, რომელიც სახელმწიფო კონტროლისა და პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებლად იმუშავებდა. კანონი ასახავდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპებს, ხაზს უსვამდა მიუკერძოებლობის, მრავალფეროვნების და საზოგადოებრივი ინტერესების მომსახურების მნიშვნელობას.

საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზია ოფიციალურად 2005 წლის 18 მარტს შეიქმნა, ორი მანამდე არსებული სუბიექტის: საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის (GTRK) და მეორე არხის „შერწყმის“ შემდეგ. ეს „შერწყმა“ მიზნად ისახავდა ოპერაციების გამარტივებას, ეფექტურობის გაზრდას და ქვეყანაში სატელევიზიო მაუწყებლობის ერთიანი პლატფორმის შექმნას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი განიხილებოდა, როგორც ინსტიტუტი, რომელიც მოემსახურებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, უზრუნველყოფდა პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც ასახავდა საქართველოს კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ რეალობას. საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნა არ იყო მხოლოდ

ტექნიკური ან ადმინისტრაციული რესტრუქტურიზაცია; ეს იყო სიმბოლური ნაბიჯი უფრო ღია და დემოკრატიული საზოგადოებისკენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნასთან დაკავშირებული სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი მისიისა და მუშაობის რეჟიმის განსაზღვრაში. 2004 წელს შესწორებული მაუწყებლობის შესახებ კანონი ასახავდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპებს, ხაზს უსვამდა სარედაქციო დამოუკიდებლობის, პლურალიზმისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას.

გარდა ამისა, შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (GNCC), რომელიც აკონტროლებს და არეგულირებს ქვეყანაში სამაუწყებლო საქმიანობას. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომ, გადამწყვეტი როლი ითამაშა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეცვა კანონში ასახული პრინციპები და ემოქმედა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოს საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ცენტრალური როლი ითამაშა ერის მშენებლობის პროცესში, ემსახურებოდა ეროვნული იდენტობის არტიკულაციისა და გავრცელების პლატფორმას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოების მრავალფეროვნების ასახვას, რომელიც მოიცავდა ერის სხვადასხვა ენობრივ, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს. დოკუმენტურმა ფილმებმა, კულტურულმა და საინფორმაციო გადაცემებმა ხელი შეუწყო საერთო ეროვნული ნარატივის აგებას.

საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბებას გამოწვევების გარეშე არ ჩაუვლია. ფინანსურმა შეზღუდვებმა, პოლიტიკურმა ზეწოლამ და სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებთან ადაპტაციის აუცილებლობამ გამოცადა საზოგადოებრივი მაუწყებლის გამძლეობა. მაგალითად, ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ მოითხოვა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიაში, რათა უზრუნველყოფილიყო უწყვეტი მაუწყებლობა.

Translated from English to Georgian - www.online-translator.com

საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი პოლიტიკური დებატების ორგანიზებასა და მაუწყებლობაში, განსაკუთრებით არჩევნების დროს, ხაზს უსვამს მის წვლილს დემოკრატიულ პროცესებში. მისი ძალისხმევა, უზრუნველყოს პოლიტიკური დიალოგისა და სამოქალაქო ჩართულობის პლატფორმა, ხელს უწყობს ქართული საზოგადოების პლურალისტურ ხასიათს.

იგი იყენებს ციფრულ მაუწყებლობას, ონლაინ სტრიმინგსა და ინტერაქტიურ პლატფორმებს, რათა აუდიტორიასთან უფრო ახლოს იყოს.

საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზია აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობასა და პარტნიორობაში, აცნობიერებს გლობალურ საზოგადოებასთან დაკავშირების მნიშვნელობას. სხვა საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობამ, საერთაშორისო მედია ფორუმებში მონაწილეობამ და ინფორმაციის გაცვლამ ხელი შეუწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც ხიდის როლს საქართველოსა და ფართო სამყაროს შორის.

ხოლო, ევროპის მაუწყებელთა კავშირში (EBU) მონაწილეობამ ხელი შეუწყო სხვა საზოგადოებრივ მაუწყებლებთან თანამშრომლობას და კონტენტის უფრო ფართო სპექტრზე წვდომას.

3.3. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაშუქება BBC-ის ეთერში

BBC-ის როლი რუსეთ-უკრაინის ომში მრავალმხრივი და გადამწყვეტია. როგორც საინფორმაციო ორგანიზაცია, BBC-ის უპირველესი როლი არის საზოგადოებისთვის დროული, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

BBC-ის ოფიციალურ საიტზე მითითებულია გადაცემების გაშვების დრო და ქრონომეტრაჟი, თუმცა უშუალოდ ვიდეოები წაშლილია. აქედან გამომდინარე, სიუჟეტების უმრავლესობა Youtube-ზე მოვიძიეთ.

124 მასალის დახმარებით ვცადეთ საკვლევი კითხვებისთვის პასუხების პოვნა:

კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ BBC ხშირად აგზავნიდა კორესპონდენტებს კონფლიქტის ზონაში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო უშუალოდ ადგილზე გაშუქება. (მაგ: ლიზ დუსეტი; სტივ როზენბერგი; სარა რეინსფორდი)

BBC მაყურებელს სთავაზობდა ექსკლუზიურ ინტერვიუებს საკვანძო ფიგურებთან, მათ შორის პოლიტიკურ ლიდერებთან, დიპლომატებთან, სამხედრო ჩინოვნიკებთან და ექსპერტებთან. (მაგ: ლიზ ტრასი, რიში სუნაკი)

BBC აწყობდა ექსპერტთა პანელებს და დისკუსიებს ანალიტიკოსების, ისტორიკოსებისა და გეოპოლიტიკური ექსპერტების მონაწილეობით. ეს პროგრამები ხელს უწყობდა კონფლიქტის ისტორიული, პოლიტიკური და სტრატეგიული განზომილებების ღრმა გაგებას.

BBC-ის დიპლომატიური კორესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ კონფლიქტის გეოპოლიტიკურ ასპექტებზე. ისინი აშუქებდნენ მოლაპარაკებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო ლიდერების პასუხებს.

კონფლიქტის დროს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ომის კორესპონდენტის როლი. ეს ჟურნალისტები მოქმედებდნენ ფრონტის ხაზზე და გადმოსცემდნენ ომის რეალობას. ომის კორესპონდენტობის მნიშვნელობა შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე გზით:

საზოგადოების ინფორმირება: ომის კორესპონდენტები ასრულებენ ხიდს კონფლიქტის ზონებსა და ფართო საზოგადოებას შორის. მათი მოხსენებები ომის მკაცრ რეალობას წინა პლანზე აყენებს.

გამჭვირვალობა: ომის დანაშაულების, ადამიანის უფლებების დარღვევის გაშუქებით ისინი ხელს უწყობენ გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

ისტორიული ჩანაწერების შენახვა: ომის კორესპონდენტები აფიქსირებენ ისტორიას რეალურ დროში. მათი სიუჟეტი ისტორიული ჩანაწერის ნაწილი ხდება. ეს ანგარიშები ხელს უწყობს წარსულის უფრო სრულყოფილ გაგებას.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღეს, 2022 წლის 24 თებერვალს, BBC-მ ახალი ამბავი მაყურებელს დილის 9-საათიან გამოშვებაში აცნო. (გადაცემის ქრონომეტრაჟი 59:59 წუთი).

ჟურნალისტი ლიზ დუსეტი პირდაპირ ეთერში კიევიდან ჩაერთო. მან ისაუბრა უკრაინის მთავრობის მცდელობებზე, დაიცვას ქვეყანა რუსული აგრესიისგან და იმ გამოწვევებზე, რომლებსაც აწყდებიან კონფლიქტში მყოფი რიგითი უკრაინელები.

იმავე გადაცემაში, მოსკოვიდან პირდაპირ ეთერში ჩაერთო ჟურნალისტი სტივ როზენბერგი. თავის ჩართვაში როზენბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპერაცია იყო "უპრეცედენტო" და განმარტა, რომ რუსეთის მთავრობა უკრაინაში შეჭრას ამართლებდა. მისივე განცხადებით, პუტინი ცდილობდა რუსეთი სხვების თვალში დაეხატა, როგორც მსხვერპლი, და არა აგრესორი.

„პუტინი დასავლეთს ბოროტ იმპერიას უწოდებს - სწორედ ასე მოიხსენიებდა რეიგანი ერთ დროს საბჭოთა კავშირს“ - თქვა როზენბერგმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პუტინი უკრაინას აღიქვას არა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, არამედ როგორც ტერიტორიას, რომელიც აუცილებლად რუსეთის კუთვნილება უნდა გახდეს.

როზენბერგის შემდეგ გამოშვებას ჟურნალისტი სარა რეინსფორდი შეუერთდა, რომელმაც მაყურებელს ოდესაში განვითარებული მოვლენები გააცნო და სიტუაციის სერიოზულობას გაუსვა ხაზი.

9-საათიან გამოშვებას ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასიც ჩაერთო და აღნიშნა, რომ ასეთ მძიმე ვითარებაში ესტონეთი უკრაინის ყველაფრით დაეხმარებოდა (მათ შორის მიაწოდებდა იარაღსაც).

გარდა ამისა, გადაცემის წამყვანმა წაიკითხა იმ ადამიანების წერილები, რომელთა ახლობლებიც უკრაინაში იმყოფებოდნენ. მან უკრაინის მოსახლეობას მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა: სთხოვა დაკავშირებდნენ BBC-ის გუნდს და თავიანთი ისტორიები გაეზიარებინათ.

BBC ასევე ხაზს უსვამს კონფლიქტთან დაკავშირებულ ადამიანურ ისტორიებს, როგორიცაა ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) და სამოქალაქო მსხვერპლთა მდგომარეობა:

2022 წლის 7 მარტს გასულ სიუჟეტში BBC-ის ჟურნალისტი ფერგალ კინი უკრაინელი დევნილების მოგზაურობას აკვირდებოდა. სიუჟეტის უმეტესი ნაწილი ავტობუსშია

გადაღებული. ჟურნალისტი, რომელიც დევნილ ბავშვებთან და მათ მომვლელებთან ერთად გადაადგილდება უმეტესად ბავშვების პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას:

"ისინი ობლები არიან. ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და დახმარება სჭირდებათ" - ამბობს ის.

ფერგალ კინი ავტობუსში მყოფ რამდენიმე მგზავრსაც ესაუბრება და მათ ადამიანურ ისტორიას ისმენს. სიუჟეტის ქრონომეტრაჟი 2:23 წუთია. კადრში ომისგან განადგურებული ქალაქის ფოტოებიც ჩანს.

"ომი ანადგურებს ყველას ცხოვრებას, განურჩევლად ასაკისა" - ამბობს კინი.

კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე BBC ყურადღებას ამახვილებდა ახალი ამბების განახლებებზე და სამხედრო მოვლენების ანალიზზე.

უნდა აღინიშნოს, რომ BBC განვითარებულ მოვლენებს კიევიდან და უკრაინის სხვადასხვა ქალაქიდან აშუქებდა. კორესპონდენტები უშუალოდ მოვლენების ეპიცენტრიდან ერთვებოდნენ პირდაპირ ეთერში და მაყურებელს რეალურ დროში აწვდიდნენ ინფორმაციას.

2022 წლის 25 თებერვალს BBC-ის ჟურნალისტები მუშაობდნენ კიევში, მოსკოვში, ბრიუსელსა და ვაშინგტონში. გადაცემაში განიხილეს ნატოს და სხვა დასავლური ქვეყნების როლი რუსეთის აგრესიის შეკავებაში; კონფლიქტის გეოპოლიტიკური შედეგები, მათ შორის პოტენციური შედეგები გლობალური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის; შეაფასეს კონფლიქტის ტრაექტორია და სავარაუდო მომავალი მოვლენები, ესკალაციის ან დეესკალაციის სცენარების ჩათვლით; განიხილეს კონფლიქტზე მოქმედი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა ენერგეტიკული პოლიტიკა, სავაჭრო შეთანხმებები და ერებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები.

დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები მაყურებელს პოლ ადამსმა კიევიდან გააცნო. სიუჟეტში კარგად ჩანდა, თუ როგორ გადაკვეთეს რუსეთის ტანკებმა უკრაინის საზღვარი. ადამსის თქმით, რუსული ტანკები უკვე უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქში, ხარკოვში დაფიქსირდა.

იმისათვის, რომ მაყურებელს უკეთ გაეგო რთული საკითხები, BBC-მ გამოიყენა ინფოგრაფიკა და ვიზუალური ახსნა-განმარტებები ძირითადი პუნქტების საილუსტრაციოდ.

გადაცემაში გასულ კიდევ ერთ სიუჟეტში ნაჩვენები იყო კიევის მეტრო სადგური. ჟურნალისტი ნიკ ბიკი გაესაუბრა რამდენიმე ლტოლვილს, რომლებმაც თავიანთი შემზარავი გამოცდილება გაუზიარეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაძაბული ვითარების მიუხედავად კიევში სიჩუმე იყო და მოსახლეობა სახლში დარჩენას ამჯობინებდა.

bbc-ის ჟურნალისტმა, სტივ როზენბერგმა მოსკოვის მოსახლეობა გამოჰკითხა. ერთ-ერთი გამოკითხული იყო პოლიტიკური აქტივისტი ანდრეი ზუბოვი:

"ვფიქრობ, რომ თუ პუტინს ახლა არ შეაჩერებენ, ეს ყველაფერი მესამე მსოფლიო ომის დაწყებას გამოიწვევს" - ამბობდა ზუბოვი. როზენბერგი ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის ტელევიზიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში. მისივე თქმით, ხალხის განწყობაზე პოლიტიზებული ტელევიზია მოქმედებდა. როზენბერგის განცხადებით, ადამიანები, რომლებიც ომს ხმამაღლა ეწინააღმდეგებოდნენ რთულ სიტუაციაში იყვნენ.

BBC მუდმივად ავრცელებდა უახლეს სიახლეებს კონფლიქტის შესახებ, მათ შორის სამხედრო ოპერაციების დროს განვითარებულ მოვლენებს, დიპლომატიურ ძალისხმევას და ჰუმანიტარულ კრიზისს.

დიდი ყურადღება დაეთმო პოლონეთში მცხოვრებ უკრაინელ დევნილებს. 2022 წლის 31 მარტს გასულ სიუჟეტში BBC-ის კორესპონდენტი კეშა მადეირა ლუბლინის ერთ-ერთი სკოლიდან ჩაერთო პირდაპირ ეთერში და ხაზი გაუსვა ადგილობრივი მოხალისეების და ორგანიზაციების ძალისხმევას, რომლებიც დევნილებს დახმარებას უწევდნენ. მადეირას თქმით, ლუბლინმა 40, 000 უკრაინელი დევნილი შეიფარა. ასევე ჩაწერა ინტერვიუ ლუბლინის მერთან.

ცხრილი #1. საკვლევი პერიოდის განმავლობაში მომზადებული ახალი ამბები საათობის მიხედვით და დათმობილი დრო

ახალი ამბები	ხანგრძლივობა
13:00	20-30 წთ
18:00	30 წთ - 1სთ
22:00	30 წთ - 1 სთ

ახალი ამბების საინფორმაციო გამოშვება BBC-ის ეთერში დღეში სამჯერ გადიოდა: 13 საათზე, 18 საათზე და 22 საათზე. სამივე გადაცემის ქრონომეტრაჟი განსხვავებული იყო. რუსეთ-უკრაინის ომი ახალი ამბების ფორმატში შუქდებოდა და ინფრომაციული ხასიათი ჰქონდა. ხშირი იყო პირდაპირი ჩართვა ფრონტის ხაზიდან, სიუჟეტები უდანაშაულო მოსახლეობას ეთმობოდა და ომის დროს მათ ყოველდღიურობაზე გვიყვებოდა.

გარდა ამისა, ყოველ კვირას, BBC-ის დილის ეთერში (09:00) გადიოდა გადაცემა Sunday Morning - გადაცემის ქრონომეტრაჟი 59 წუთი იყო და იგი უმეტესად რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვას ეთმობოდა.

გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ლიზ ტრასი (ინტერვიუს ხანგრძლივობა 16 წთ); ადმირალი სერ ტონი რადაკინი; რიში სუნაკი: აღსანიშნავია, რომ BBC დიდ ყურადღებას უთმობდა დევნილთა პრობლემებს.

ჯამში, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, BBC-მ რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე 124 მასალა მოამზადა.

დიაგრამა #1. საკვლევ პერიოდში მომზადებული მასალების მრავალფეროვნება



რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე მომზადებულ მასალებში უმეტესად ვხვდებოდით რეპორტაჟებს, ასევე პირდაპირ ჩართვებს უშუალოდ ფრონტის ხაზიდან. საკვლევ მასალაში ხშირად ვაწყდებოდით ინტერვიუებს (უმეტესად Sunday Morning-ის ეთერში).

24 თებერვლიდან - 4 აპრილის ჩათვლით BBC დოკუმენტური ფილმების სიმრავლით არ გამოირჩევა. თუმცა, 25 თებერვლის ახალ ამბებში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით, A brief history of modern Ukraine - რომელიც უკრაინის მოკლე ისტორიის აღწერას დაეთმო. სიუჟეტის ქრონომეტრაჟი - 3:36.

26 თებერვალს კი ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით - Who is Vladimir Putin? - სიუჟეტი მოკლედ აღწერდა პუტინის ბავშვობას, ხელისუფლებაში მოსვლას და უკრაინასთან კონფლიქტს. ქრონომეტრაჟი - 3:32.

3.4. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაშუქება საქ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში

რუსეთ-უკრაინის ომი 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო და მას შემდეგ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (GPB) სრულყოფილად აშუქებს განვითარებულ მოვლენებს.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში "მოამბე" 237-ჯერ გავიდა. მათზე დაყრდნობით ვცადეთ გვეპოვა პასუხები საკვლევ კითხვებზე.

კვლევის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი გამოვიყენეთ - https://1tv.ge/. დაკვირვების შედეგად შემდეგი ფაქტორები გამოიკვეთა:

1. დაბალანსებული პერსპექტივა: საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობდა წარმოადგინა განსხვავებული შეხედულებები და შეენარჩუნებინა დაბალანსებული მიდგომა მისი გაშუქების მიმართ. ტელევიზია აშუქებდა ექსპერტებისა და ანალიტიკოსების კომენტარებს, როგორც ქართული, ასევე უცხოური მხარეებიდან.

2. აქცენტი რეგიონულ შედეგებზე: როგორც მეზობელმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს საკუთარი გამოცდილება კონფლიქტებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხაზი გაუსვა რუსეთ–უკრაინის ომის პოტენციურ რეგიონულ შედეგებს. მათი მოხსენებები ხშირად ეხებოდა იმას, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა კონფლიქტს საქართველოს უსაფრთხოებაზე, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებზე.

3. ფოკუსირება საშინაო შედეგებზე: გარდა უკრაინის მოვლენების გაშუქებისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე ვრცლად აქვეყნებდა ინფორმაციას საქართველოს შიდა პოლიტიკურ დინამიკაზე. მათ გააშუქეს საპროტესტო აქციები, მთავრობის განცხადებები და ოპოზიციური პარტიების გამოხმაურებები.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰყავდა თავისი კორესპონდენტები უშუალოდ კონფლიქტის ზონაში:

რუსეთის უკრაინაში შეჭრის ინფორმაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 24 თებერვალს, "მოამბის" ეთერში, დილის ცხრა საათზე გაგვაცნო. (გადაცემის ქრონომეტრაჟი 16:24 წუთი). ტელეწამყვან თამარ ფიროსმანაშვილს პირდაპირ ეთერში კორესპონდენტი ლევან ახალაია დონბასის ოლქიდან შეუერთდა და ადგილზე განვითარებული მოვლენები გააცნო.

ახალაიას გარდა საზოგადოებრივ მაუწყებელს უშუალოდ კონფლიქტის ადგილზე კიდევ ერთი კორესპონდენტი ჰყავდა: რატი ხვისტანი ამბებს კიევიდან აშუქებდა.

თუმცა, 28 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, „მოამბის“ ჯგუფს უკრაინის დატოვება მოუწია. ჟურნალისტები კიევიდან საევაკუაციო მატარებლით გაიყვანეს. ამდენად, იგი მხოლოდ ინტერნეტწყაროებს ან სხვა მედიასაშუალებების მასალებს ეყრდნობოდა.

საზ. მაუწყებელი ტელემაყურებელს ასევე სთავაზობდა ექსკლუზიურ ინტერვიუებს საკვანძო ფიგურებთან, მათ შორის პოლიტიკურ ლიდერებთან, დიპლომატებთან, სამხედრო ჩინოვნიკებთან და ექსპერტებთან. (მაგ: ირაკლი კობახიძე, ლევან დავითაშვილი, ვიქტორ ყიფიანი)

პირველი არხის ეთერში "მოამბე" 6-ჯერ გადიოდა: 9:00; 10:00; 12:00; 15:00; 18:00; 21:00. (ყველა მათგანის ქრონომეტრაჟი განსხვავებული იყო) თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა საინფორმაციო გამოშვება ეთერში 22:00-ზე ან 24:00-ზეც გასულა.

ცხრილი #2. საკვლევი პერიოდის განმავლობაში მომზადებული „მოამბის“ გამოშვება საათობის მიხედვით და დათმობილი დრო

„მოამბე“	ხანგრძლივობა
9:00	16 - 20 წთ
10:00	15 - 30 წთ
12:00	30 წთ - 1 სთ
15:00	1 - 1.5 სთ
18:00	40 წთ - 1 სთ
21:00	1 - 1.5 სთ

გარდა "მოამბის" საინფორმაციო გამშვებისა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყველ ორშაბათსა და ხუთშაბათს გადიოდა გადაცემა "დღის თემა თამთა სანიკიძესთან და გიორგი გვიმრაძესთან ერთად" - გადაცემის უმეტესი ნაწილი პოლიტიკურ დებატებს, რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვას, ასევე ინტერვიუებს ეთმობოდა -

საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოიკითხა როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები და პოლიტიკოსები. მაგალითად, საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევის შემდეგ, „დღის თემის“ მთავარი სტუმარი ირაკლი კობახიძე იყო.

საზოგადოებრივი მაუწყებელი დიდ ყურადღებას უთმობდა კონფლიქტის გეოპოლიტიკურ ასპექტებსაც. აშუქებდა მოლაპარაკებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო ლიდერების პასუხებს. მაგალითად, 10 აპრილს, მოამბის გამოშვებაში გააშუქეს რუსეთისა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრების, სერგეი ლავროვისა და დმიტრო კულებასას შეხვედრა.

საკვლევი მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მომენტიც. მიუხედავად იმისა, ამ ომში არც ინგლისური და არც ქართული მხარე არ იყო უშუალოდ ომის მონაწილე მხარე, მაინც ,,სხვისი“ ომისადმი დამოკიდებულება განსხვავებულად წარმოჩნდა, რაც აისახა ინგლისელი და ქართველი კომუნიკატორების დისკურსში. საქართველოს საზ. მაუწყებლის ეთერში იგრძნობა სამთავრობო ნარატივის გამეორება - ,,აბა, ომი გინდათ“? ,,ეს ჩვენი ომი არ არის“,...და სხვ. მართალია, ამას ჟურნალისტები არ ამბობენ, მაგრამ პოლიტიკური აქტორების შერჩევაში ეს კარგად მჟღავნდება. საზ, მაუწყებელი ოპოზიციურ ფლანგსაც უთმობს ტრიბუნას, სადაც ეთერში მაინც ისმის ისეთი ფრაზები, რომ უკრაინის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, საქართველოს ევროინტეგრაციის ხაზი გადის რუსეთის დამარცხებაზე და ა. შ.

დიაგრამა #2. საკვლევ პერიოდში მომზადებული მასალების მრავალფეროვნება (ჩვენს მიერ შერჩეულ 10 ჟურნალისტურ მასალაზე დაყრდნობით)



მრავალფეროვნების თვალსაზრისით, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ყველაზე დიდი დრო ახალი ამბების გაშუქებას დაეთმო - საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველდღიურად აახლებდა ინფორმაციას უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ: მაგალითად წამყვანი ეთერს იწყებდა სიტყვებით: "უკრაინაში ომის მე-16 დღე", "უკრაინის წინააღმდეგ კრემლის სამხედრო აგრესიის 26-ე დღე" და ა. შ.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ლტოლვილების თემას - 28 თებერვალს "მოამბის" ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით "ლტოლვილები უკრაინიდან". ჟურნალისტი ლევან ახალაია მატარებლით უკრაინელ ლტოლვილებთან ერთად მოგზაურობდა და მათი ადამიანური ისტორიების შესახებ მოგვითხრობდა.

ტელევიზია აჩვენებდა უშუალოდ საქართველოს ჩართულობას რუსეთ-უკრაინის ომში - მაგალითად, გაკეთდა სიუჟეტი საქართველოში მცხოვრები უკრაინელებს შესახებ. ასევე მომზადდა მასალა საქართველოდან უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის შესახებაც.

აღსანიშნავია, რომ პირველი არხის ეთერში უკრაინის მხარდასაჭერი საქველმოქმედო აქცია -მარათონიც გაიმართა. (02.03.2022) მარათონის შედეგად, უკრაინის დასახმარებლად 700 000 ლარი შეგროვდა. მარათონი პირველი არხის სტუდიაში მოეწყო და მასში ცნობილი ქართველი მომღერლები მონაწილეობდნენ. უფრო მეტი ჩართულობის მისაღებად იგი საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-პლატფორმაზეც გადაიცემოდა.

ასევე გადაცემა "აკუსტიკის" შემოქმედებითმა ჯგუფმა ქართული და უკრაინული სიმღერები ერთ კომპოზიციაში გააერთიანა და ასე გამოხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა.

დასკვნა

შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ ბრიტანული და ქართული ტელე საკომუნიკაციო სივრცე, ორივე აკმაყოფილებს ,,მშვიდობის ჟურნალისტიკის“ საერთაშორისო მედიაპრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმებს. საპირისპიროდ რუსული მედიისა, რომელიც მხოლოდ ომის ჟურნალისტიკაზეა დაფუძნებული და თავისი ნაცადი პროპაგანდისტული ბერკეტებით ცდილობს უკრაინა დაადანაშაულოს ომის ესკალაციაში. ომის საწყის ეტაპზე, 2-3 კვირის განმავლობაში,- BBC-სა და საქ, საზ, მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ჭარბობს ინფორმაციული მასალები, ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა, (მაგ: საზ. მაუწყებელი უმეტესად ეყრდნობოდა უცხოური ტელევიზიებისა და ჟურნალისტური ვებსაიტების მასალებს: მაგ: CNN-ს. აცხადებდნენ ახალ ამბებს შემდეგი სიტყვებით: „ომის მე-12 დღე, ომის 26-ე დღე და ა.შ.) და როცა ომი გაგრძელდა და მკაფიოდ გამოჩნდა რუსეთის რეალური ზრახვები, ყურადღება დაეთმო ანალიტიკურ მასალებს, სადაც საუბარი იყო რუსეთ-უკრაინის ომის გამომწვევ მიზეზებზე, მისი მონაწილეების მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე ადგილი ეთმობოდა რუსი და უკრაინელი ხალხების თანაცხოვრების ისტორიულ პერიპეტიებს, გეოპოლიტიკურ, კულტურულ-რელიგიურ ფაქტორებს და ა.შ.

ბრიტანული საკომუნიკაციო სივრცე არ არის შეზღუდული და პუტინის თუ რუსი სამხედროების განცხადებებს ვრცელ ადგილს უთმობს. საზ. მაუწყებელი უკრაინის პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიას ამჟღავნებს და ზელენსკის გამოსვლებს რეკორდული გაშუქება აქვს.

საბოლოოდ, ჩვენი ჰიპოთეზები გამართლდა, BBC-ის შემთხვევაში სრულად, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ბრიტანული მაუწყებელი "ბი-ბი-სი" (BBC) სამშვიდობო ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვით მუშაობდა და საინფორმაციო ომის ფარგლებში, ძირითადად დაზუსტებულ და დაბალანსებულ ინფორმაციას ავრცელებდა;

ხოლო, საქ. საზ. მაუწყებლის შემთხვევაში, ნაწილობრივ, გამართლდა. ერთი მხრივ, იგი 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას უმეტესწილად სამშვიდობო

ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვით მუშაობდა ქართველი ხალხის დამოკიდებულებას წარმოაჩენდა, რომლის უმრავლესობა უკრაინელ ხალხს სოლიდარობას უცხადებდა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი რუსეთ-უკრაინის ომის გაშუქებას რეგიონულ პერსპექტივას ანიჭებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გალტუნგი, ი. (2001). როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები. თბილისი. (კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=61)
- Nodia, G., & Welch, D. (Eds.). (2001). Media and Politics in Georgia. Central European University Press.
- Mikhelidze, N., & Girard, B. (2019). Public Service Broadcasting in the Post-Soviet World: Processes and Impact. Routledge.
- GNCC - Georgian National Communications Commission. (n.d.). Official Website. https://www.gncc.ge/
- Georgian Public Broadcasting. (n.d.). Official Website. https://1tv.ge/en/
- Briggs, A. (2012). "BBC: The Birth of Broadcasting." Oxford University Press.
- Barnouw, E. (1993). "Tube of Plenty: The Evolution of American Television." Oxford University Press.
- Hendy, D. (2007). "Life on Air: A History of Radio Four." Oxford University Press.
- Briggs, A., & Cobley, P. (2015). "The Media: An Introduction." Pearson.
- Smith, A. (2000). "Television: An International History." Oxford University Press.
- Briggs, A. (1979). "The History of Broadcasting in the United Kingdom, Volume V: Competition." Oxford University Press.
- Biressi, A., & Nunn, H. (2013). "Reality TV: Realism and Revelation." Routledge.
- Allan, S. (2002). "News Culture." Open University Press.
- Seaton, J. (1999). "Broadcasting in the United Kingdom." Routledge.
- "A History of Ukraine" by Paul Robert Magocsi
- "Russia and Ukraine: Literature and the Discourse of Empire from Napoleonic to Postcolonial Times" by Myroslav Shkandrij
- "Red Famine: Stalin's War on Ukraine" by Anne Applebaum
- "Ukraine and Russia: Representations of the Past" edited by Myroslav Shkandrij
- "The Gates of Europe: A History of Ukraine" by Serhii Plokhy
- https://1tv.ge/video/kulebasa-da-lavrovis-molaparakebebi-antaliashi-live/

- https://1tv.ge/video/saqartvelos-mkhardachera-ukrainas-8/
- https://1tv.ge/video/akustika-ukrainistvis/
- https://1tv.ge/video/chven-ukrainistvis-pirveli-arkhis-saqvelmoqmedo-aqcia-maratoni/
- https://1tv.ge/video/ukrainis-elchis-saqartvelodan-gawveva-politikuri-shefasebebi/
- https://1tv.ge/video/aqcia-parlamenttan-live/
- https://1tv.ge/video/volodimir-zelenskis-mimartva-2/
- https://1tv.ge/video/saqartvelos-mkhardachera-ukrainas-7/
- https://1tv.ge/video/ltolvilebi-ukrainidan/
- https://1tv.ge/video/interviu-viqtor-yifiantan/
- https://1tv.ge/video/interviu-levan-davitashviltan-4/
- https://1tv.ge/video/mkhardachera-ukrainas/
- https://1tv.ge/video/interviu-archil-cincadzestan/
- https://1tv.ge/video/saqartvelodan-ukrainashi-humanitaruli-tvirti-gaigzavna/
- https://1tv.ge/video/kievshi-srolisa-da-afetqebebis-khma-mteli-ghamis-ganmavlobashi-ismoda-moambe-ukrainidan/
- https://www.youtube.com/watch?v=JnwVcAjlOCU
- https://www.youtube.com/watch?v=Dm0DVkgiw5U
- https://www.youtube.com/watch?v=Mt1OXtxUBNo
- https://www.youtube.com/watch?v=I90otRYs54Q
- https://www.iccn.ge/files/rogor_movagvarot_konfliqtebi_iv_2001_full.pdf
- https://www.bbc.co.uk/programmes/m0015034
- https://www.bbc.co.uk/programmes/m00156m9
- https://www.bbc.co.uk/programmes/m0015ff1
- https://www.bbc.co.uk/programmes/m0015p10